განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი
7/8/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში - 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 20 ივნისის #72 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა მჟავანაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 20 ივნისის N72 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. საბჭომ გადაწყვეტილების მომენტში მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო პროგრამაზე მონიტორინგი და შეფასებულიყო აკრედიტაციის საბჭოს/ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პირობები. პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია, აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 20 ივნისის სხდომის #25 ოქმის მიხედვით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოვიდეს არჩევითი და სავალდებულო საგნების ნუსხა;
2. ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოხდეს საგნების საათობრივი დატვირთვის და კრედიტების გადახედვა;
3. მოხდეს გარკვეულ საგნებში შინაარსის გადახედვა;
4. საგანი პიარი ჯანდაცვაში შეიცვალოს საგნით კომუნიკაცია ჯანდაცვაში;
5. სილაბუსებში გასწორდეს საათობრივ დატვირთვასთან მიმართებაში არსებული ტექნიკური ხარვეზები;
6. მოხდეს სილაბუსებში საგნების კომპეტენციების გადახედვა;
7. მოხდეს კოდების მითითება;
8. სასწავლო კურსები უზრუნველყოფილი იქნეს ქართულენოვანი ძირითადი ლიტერატურით ან რიდერებით;
9. სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური და არა პოპულარული სახელმძღვანელოებით;
10. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მიესადაგოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონეს;
11. გასწორდეს ტერმინოლოგია საოფისე პროგრამების სილაბუსებში.

პროგრამის მონიტორინგის პირობების შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უპირატესად შესრულებულია.

შესაბამისად, მოცემული პირობების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60/64 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30/32 ECTS კრედიტს. საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიაროს როგორც ძირითადი სპეციალობის საგნები (სავალდებულო და არჩევითი), ასევე თავისუფალი კრედიტი არა უმეტეს 20 კრედიტისა უნივერსიტეტში შეთავაზებული საგნებიდან. 240 კრედიტი პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- 45 კრედიტი არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები;
- 55 კრედიტი არის ბიზნესის ადმინისტრირების მოდული;
- 100 კრედიტი არის მენეჯმენტის, კერძოდ კი ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული;
- 10 კრედიტი არის პრაქტიკული კომპონენტი;
- 10 კრედიტი არის პროექტი;
- 20 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი;

შემუშავებული კურიკულუმის დარგობრივი აუცილებელი და დარგობრივი არჩევითი საგნების ფართო სპექტრი საშუალებას აძლევს ბაკალავრს, ინდივიდუალური სამუშაო პერსპექტივის გათვალისწინებით დაგეგმოს ქვემოთ მოცემული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევისთვის აუცილებელი საგნების გავლა. საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კავკასიის უნივერსიტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ განხორციელდა წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით პირველი და მეორე სტანდარტის სრულად შეფასება, რამაც მოგვცა საშუალება მიგვეღო სისტემური სურათი პროგრამაში გამოთქმული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

განხორციელებული შეფასებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია არსებულ სტანდარტებთან, ვინაიდან მხოლოდ მე-2 სტანდარტის 2.2. კომპონენტია მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, დანარჩენი კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტადარტის მოთხვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განსაზღვრისას მეტი ყურადღება დაეთმოს ე.წ. ,,ბლუმის ტაქსონომიის" გამოყენებას, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდის ამ შედეგებს;
  - რეკომენდებულია პროგრამის აღწერილობით ნაწილში მითითებული კრედიტებით გამოსახული პროგრამის სტრუქტურა, მოვიდეს შესაბამისობაში ამავე პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ინფორმაციასთან;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების (მაგ. საჯარო ფინანსები, ლიდერობა და გუნდის მართვა, ჰოსპიტალების მართვა) სილაბუსებში გამოყენებულ ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წლები და სილაბუსში მოიხსნას ტექნიკური ხასიათის კომენტარები (მაგ. ფინანსური აღრიცხვა);
- სასურველია სასწავლო კურსი ,,პროექტის მენეჯმენტი", რომელიც გათვალისწინებული იქნა პროგრამის არჩევით მოდულში, გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი;
- სასურველია განახლდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, კერძოდ სამეცნიერო აქტივობების ამსახველი ინფორმაცია;

- სასურველია გადახედილი იქნეს ერთ ლექტორის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება მესამედ, კერძოდ პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო 2012 წელს, ხოლო მეორე აკრედიტაცია განხორციელდა 2018 წელს. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 20 ივნისის სხდომის #25 ოქმის მიხედვით განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამაში განხორციელდა შემდეგი განმავითარებელი ცვლილებები: კერძოდ, გაიმართა პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ნაწილში მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, კერძოდ სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხას დაემატა ,,ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები", ხოლო სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხას დაემატა ,,პროექტის მენეჯმენტი", ,,საჯარო ფინანსები" და ,,სოციოლოგია". დაიხვეწა ასევე ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლის შედეგები, დაკორექტირდა საათობრივი დატვირთვა და კრედიტების მოცულობა, სასწავლო კურსებში დაემატა ქართულენოვანი ლიტერატურა და მოხდა სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების კორექტირება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ჯანმრთელობის დაცვის სექტორში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობისათვის მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ჯანდაცვის მართვის ზოგადი და ფართო ცოდნა, რაც ჯანდაცვის მართვის მთავარი პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას მოიცავს. პროგრამის მიზანი ცხადია, ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რაზეც მიუთითებს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მდგომარეობა, კერძოდ მათი აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია პროფილის მიხედვით. ამასთან, პროგრამის მიზანი შესაბამისობაში უნივერსიტეტის მისიასთან და მისი მიღწევა ხელს შეუწყობს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებას, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალიტების მომზადებით. პროგრამის მიზანი რეალური და მიღწევადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ კავკასიის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მისია;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები თანამიმდევრული და ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით ახორციელებს ბაკალავრის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს სხვადსხვა მექანიზმებს, მათ შორის წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულებამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა პოტენციური დამსაქმებლების კვლევა და აღნიშნული კვლევის შედეგები გამოყენებულია პროგრამის გასაუმჯობესებლად, კერძოდ დამსაქმებლების მიერ გაცემული იქნა გარკვეული რეკომენდაციები პროგრამის სტრუქტურაში მენეჯერული დისციპლინების და ჯანდაცვის პროფილური დისციპლინების გაძლიერების შესახებ, რაც ასახული იქნა პროგრამაში და აღნიშნული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია სრულად არის წარმოდგენილი მე-2 სტანდარტის 2.2. კომპონენტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის 2018 წლის 20 ივნისის (სხდომის ოქმი N25) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;
- ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს კავკასიის უნივერსიტეტში. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ: აბიტურიენტებს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული წესის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60/64 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30/32 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიაროს როგორც ძირითადი სპეციალობის საგნები (სავალდებულო და არჩევითი), ასევე თავისუფალი კრედიტი არა უმეტეს 20 კრედიტისა უნივერსიტეტში შეთავაზებული საგნებიდან. 240 კრედიტი პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ▪ 45 კრედიტი არის ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები; ▪ 55 კრედიტი არის ბიზნესის ადმინისტრირების მოდული; ▪ 100 კრედიტი არის მენეჯმენტის, კერძოდ კი ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული; ▪ 10 კრედიტი არის პრაქტიკული კომპონენტი; ▪ 10 კრედიტი არის პროექტი; ▪ 20 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი;

შემუშავებული კურიკულუმის დარგობრივი აუცილებელი და დარგობრივი არჩევითი საგნების ფართე სპექტრი საშუალებას აძლევს ბაკალავრს, ინდივიდუალური სამუშაო პერსპექტივის გათვალისწინებით დაგეგმოს ქვემოთ მოცემული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მიღწევისთვის აუცილებელი საგნების გავლა. აღნიშნული კომპეტენციების მისაღწევად ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის სტრუქტურის კომპონენტები მოიცავს სავალდებულო და არჩევით დარგობრივ საგანთა მოდულებს. ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის წარმოდგენილ სტრუქტურასა და შინაარსში დაწესებულების მხრიდან არსებული რეკომენდაციების (**რეკომენდაცია 1:** ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოვიდეს არჩევითი და სავალდებულო საგნების ნუსხა; **რეკომენდაცია 2:** ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოხდეს საგნების საათობრივი დატვირთვის და კრედიტების გადახედვა; **რეკომენდაცია 3:** მოხდეს გარკვეულ საგნებში შინაარსის გადახედვა და **რეკომენდაცია 4:** საგანი პიარი ჯანდაცვაში შეიცვალოს საგნით კომუნიკაცია ჯანდაცვაში) გათვალისწინებით განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები: პროგრამის სტრუქტურაში შემცირებულია ნაკლებად პროფილური ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსების რაოდენობა, კერძოდ: პოლიტიკურ მეცნიერებათა შესავალი, მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, ფსიქოლოგია, ზოგადი ინგლისური C1 და კალკულუსი 2. ამასთან აღნიშნულ ბლოკში დაემატა ისეთი პროფილური სასწავლო კურსი როგორიცაა: აკადემიური წერა და კრიტიკული აზროვნება. გაძლიერებულია ასევე ბიზნესის ადმინისტრირების მოდული შემდეგი სავალდებულო სასწავლო კურსებით: ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხას დაემატა პროექტის მენეჯმენტი, საჯარო ფინანსები და სოციოლოგია. გარდა ამისა, როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა 2019 წელს დაწესებულებაში ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალი მექანიზმი და განხორციელდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, გაიცა საჭირო რეკომენდაციები, რაც გამოყენებულია პროგრამის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით პროგრამას დაემატა ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსი. დაკორექტირდა ასევე, ბიზნესის ადმინისტირების მოდულის 5 სავალდებულო სასწავლო კურსის (მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) საკონტაქტო საათები, კერძოდ გაიზარდა 30-დან 35-მდე, ხოლო კრედიტების მოცულობა გაიზარდა 5-დან 6-მდე. საბოლოო ჯამში ბიზნესის ადმინისტრირების მოდულის კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 40-დან 55 კრედიტამდე. ასევე, დაიხვეწა ზოგიერთი სასწავლო კურსების სტრუქტურული და შინაარსობრივი მხარე. დაიხვეწა მათი შესაბამისობა, როგორც კონკრეტული სასწავლო კურსების, ისე მთლიანად პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო სასწავლო კურსი „პიარი ჯანდაცვაში“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „კომუნიკაცია ჯანდაცვაში“. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მოცემულ კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია და პროგრამის სტრუქტურა, მისი შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის

სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, კარგი იქნებოდა სასწავლო კურსი ,,პროექტის მენეჯმენტი“, რომელიც გათვალისწინებული იქნა პროგრამის არჩევით მოდულში, გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი. ასევე, რეკომენდებულია პროგრამის აღწერილობით ნაწილში მითითებული კრედიტებით გამოსახული პროგრამის სტრუქტურა, მოვიდეს შესაბამისობაში ამავე პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ინფორმაციასთან, კერძოდ აღწერილობით ნაწილში ზოგადი საუნივერსიტეტო საგნები წარმოდგენილია 50 კრედიტით, პროგრამის სასწავლო გეგმაში ეს ნაწილი არის 45 კრედიტი, თავად პროგრამის სასწავლო გეგმაში არასწორად არის მითითებული ბიზნესის ადმინისტრირების მოდულის განაწილება სავალდებულო და სავალდებულო არჩევით დისციპლინებად (25 + 25 კრედიტი), უნდა იყოს (30 + 25 კრედიტი). აღწერილობით ნაწილში სპეციალობის ჯანდაცვის მენეჯმენტის მოდული წარმოდგენილია 95 კრედიტით, ხოლო პროგრამის სასწავლო გეგმაში 100 კრედიტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის 2018 წლის 20 ივნისის (სხდომის ოქმი N25) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;
- ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების განსაზღვრისას მეტი ყურადღება დაეთმოს ე.წ. ,,ბლუმის ტაქსონომიის“ გამოყენებას, რაც კიდევ უფრო აღქმადს და გაზომვადს გახდის ამ შედეგებს;
- რეკომენდებულია პროგრამის აღწერილობით ნაწილში მითითებული კრედიტებით გამოსახული პროგრამის სტრუქტურა, მოვიდეს შესაბამისობაში ამავე პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ ინფორმაციასთან;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსი ,,პროექტის მენეჯმენტი“, რომელიც გათვალისწინებული იქნა პროგრამის არჩევით მოდულში, გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევა

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
ჯანდაცვის მენეჯმენის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. აკრედიტაციის ექსპერტების და აკტრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მომცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები: ▪ **რეკომენდაცია 5:** სილაბუსებში გასწორდეს საათობრივ დატვირთვასთან მიმართებაში არსებული ტექნიკური ხარვეზები; ▪ **რეკომენდაცია 6**: მოხდეს სილაბუსებში საგნების კომპეტენციების გადახედვა; ▪ **რეკომენდაცია 7:** მოხდეს კოდების მითითება; ▪ **რეკომენდაცია 8**: სასწავლო კურსები უზრუნველყოფილი იქნეს ქართულენოვანი ძირითადი ლიტერატურით ან რიდერებით; ▪ **რეკომენდაცია 9:** სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური და არა პოპულარული სახელმძღვანელოებით; ▪ **რეკომენდაცია 10:** სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მიესადაგოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონეს; ▪ **რეკომენდაცია 11:** გასწორდეს ტერმინოლოგია საოფისე პროგრამების სილაბუსებში. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, დაწესებულების მიერ განხორციელებულია კონკრეტული ცვლილებები, კერძოდ: ▪ აღმოფხვრილია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები; ▪ დაკორექტირებულია შემდეგი სასწავლო კურსების: ფინანსური აღიცხვა, ბიზნესის საფუძვლები, სტატისტიკის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტი, მენეჯერული აღრიცხვის პრეინციპები, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, საჯარო გამოსვლა და პრეზენტაციის წარმართვა, ლიდერობა და გუნდის მართვა, ხარისხის მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები, ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მენეჯმენტის

საფუძვლები, ჯანდაცვის მენეჯმენტის სფუძვლები, შესავალი ბიოსტატისტიკაში, დაზღვევის შესავალი, საჯარო ფინანსების საფუძვლები სილაბუსებში სწავლის შედეგები და მოყვანილია როგორც პროგრამის სწავლის შედეგთან, ისე უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან შესაბამისობაში;

- განხორციელდა პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების კოდირება ანუ მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში ცალკეული სასწავლო კურსის მაიდენტიფიცირებელი კოდი, რაც ასევე ასახულია პროგრამის კურუკულუმშიც;
- განახლდა პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის ლიტერატურა, კერძოდ სილაბუსებში („საოფისე ტექნოლოგიები 1“, „საოფისე ტექნოლოგიები 2“, „ფინანსური მენეჯმენტი“, „ჰოსპიტალების მართვა“, „ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემები“, „საჯარო ფინანსები“) დაემატა ქართულენოვანი ლიტერატურა, ხოლო ზოგიერთ სასწავლო კურსში („ჯანდაცვის მომსახურეობის მარკეტინგი“, „სამედიცინო მომსახურების ხარისხის მენეჯმენტი“ და „ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები“) დაემატა ლექტორის მიერ მომზადებული რიდერები;
- დაკორექტირდა სასწავლო კურსის ,,საინფორმაციო სისტემები“ სახელწოდება და განისაზღვრა როგორც ,,საოფისე ტექნოლოგიები“, ამავე სილაბუსში დაკორექტირდა ასევე ტერმინოლოგური ნაწილიც და მოვიდა შესაბამისობაში არსებულ მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის 2018 წლის 20 ივნისის (სხდომის ოქმი N25) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;
- ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ცალკეული სასწავლო კურსების (მაგ. საჯარო ფინანსები, ლიდერობა და გუნდის მართვა, ჰოსპიტალების მართვა) სილაბუსებში გამოყენებულ ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წლები და სილაბუსში მოიხსნას ტექნიკური ხასიათის კომენტარები (მაგ. ფინანსური აღრიცხვა);

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები მოიცავენ სხვადასხვა დონის პროექტის, პრეზენტაციის შესრულებას. პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული საგანმანათლებლო კურსი მოიცავს პრაქტიკული დატვირთვას, რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს/განავითაროს პრაქტიკული უნარები. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტები იღებენ ცოდნას არა მარტო სპეციალობაში, უნივერსიტეტის საერთო მიდგომებიდან გამომდინარე სათანადოდ ეუფლებიან უცხო ენებს, რაც მათივე აღნიშვნით მნიშვნელოვნად ეხმარებათ, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე კონკურენტუნარიანობის მიღწევაში

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებში განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის მრავლობითი ფორმები და მეთოდები, კერძოდ: გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერითი, დემონსტრირების, დისკუსია/დებატების, შემთხვევის ანალიზის (Case study), ახსნა–განმარტებითი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ევრისტიკული, გონებრივი იერიშის, სწავლების დედუქციური, ანალიზის, სინთეზის მეთოდი და სხვა. როგორც დაწესებულების არგუმენტაციიდან ჩანს სწავლების პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე მრავალფეროვან მეთოდებს შორის არჩევანის საფუძველი ემყარება მიდგომას, რომლის მიხედვითაც სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ანაცვლებენ, კერძოდ: თითოეული სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, პროექტი/რეფერატი, დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკა. ცალკეული სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვა. რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ პროგრამის 2018 წლის 20 ივნისის (სხდომის ოქმი N25) აკრედიტაციის გადაწყვეტილება; ○ ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
კავკასიის უნივერსიტეტში ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას შემდეგი სტრუქტურით: დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება; ყოველკვირეული შეფასება; შუა სემესტრული შეფასება და საბოლოო გამოცდის შეფასება. სტუდენტის ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, კაზუსი, ქეისი, ამოცანა, ღია კითხვები, ესსე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების კომპონენტები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და უზრუნველყოფს პროგრამის თითოეულ კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ პროგრამის 2018 წლის 20 ივნისის (სხდომის ოქმი N25) აკრედიტაციის გადაწყვეტილება; ○ ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის საკონსულტაციო საათების განრიგი, სადაც დაკონკრეტებულია კონსულტაციის დღე, საათი, აუდიტორია და კონსულტაციის ხანგრძლიობა. ბუნებრივია, აღნიშნული გრაფიკით შესაძლებელია ისარგებლოს დაინტერესებულმა სტუდენტებმა და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. გარდა, ამისა უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავზობს სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვან სერვისებს, მათ შორის: ტრენინგ კურსებს, პროექტებში მონაწილეობას, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებით სარგებლობას, სტაჟირებებს სხვადასხვა ორგანიზაციებში, მასტარესკლასებს, ვორკშოპებს და ა.შ. რაც ბუნებრივია, ზრდის სტუდენტთა ინფორმირებულობას და ხელს უწყობს მათ კარიერულ განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://cu.edu.ge/ka
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 8 პროფესორი (აქედან 3 აფილირებული), 3 ასოცირებული ასოცირებული (აქედან 2 აფილირებული), 1 ასისტენტი და 15 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა კვალიფიკაცია და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევასა და შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვთ დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ფლობს დარგის თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პროფესიულ უნარებს. პროგრამის განმახორცელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან 10 სუბიექტი არის ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის მიმართულებით, 9 სუბიექტი არის ჯანდაცვის მენეჯმენტის მიმართულების, ხოლო 8 სუბიექტი არის ზოგადი სასწავლო კურსების მიმართულებით. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი 12/15-ზე რაც მოცემულ ეტაპზე არ უქმნის საფრთხეს პროგრამის მდგრადობას. აღსანიშნავია, რომ როგორც მოწვეული ლექტორების VC-დან ირკვევა მათი უმრავლესობა მრავალი წელია სტაბილურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან. ამასთან, სასურველია განახლდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, კერძოდ სამეცნიერო აქტივობების ამსახველი ინფორმაცია. ასევე, რამდენიმე შემთხვევაში ერთ ლექტორს უწევს 4 და მეტი სასწავლო კურსის წაკითხვა პროგრამის ფარგლებში, რაც სასურველია გადახედილი იქნეს ამ რაოდენობის შემცირების მიზნით. აღსანიშნავია, ისიც რომ პროგრამის წამყვან კურსების განხორციელებას ემსახურება ძირითადად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია ჯანდაცვის მენეჯმენტში მოღვაწეობის მრავალწლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული მდიდარი გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ▪ სასურველია განახლდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, კერძოდ სამეცნიერო აქტივობების ამსახველი ინფორმაცია;
- ▪ სასურველია გადახედილი იქნეს ერთი ლექტორის მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების რაოდენობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

არ შეფასდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ შეფასდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში უნივერსიტეტის მხრიდან ხარისხის გარე შეფასების მექანიზმად გამოყენებულია აკრედიტაციის პროცესი. კერძოდ, აღნიშნული პროგრამის მეორედ აკრედიტაცია განხორციელდა 2018 წელს და საბაკალავრო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 20 ივნისის N72 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პირობით. აღნიშნული, რეკომენდაციები იყო: ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოვიდეს არჩევითი და სავალდებულო საგნების ნუსხა; ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციიდან გამომდინარე მოხდეს საგნების საათობრივი დატვირთვის და კრედიტების გადახედვა; მოხდეს გარკვეულ საგნებში შინაარსის გადახედვა; საგანი პიარი ჯანდაცვაში შეიცვალოს საგნით კომუნიკაცია ჯანდაცვაში; სილაბუსებში გასწორდეს საათობრივ დატვირთვასთან მიმართებაში არსებული ტექნიკური ხარვეზები; მოხდეს სილაბუსებში საგნების კომპეტენციების გადახედვა; მოხდეს კოდების მითითება; სასწავლო კურსები უზრუნველყოფილი იქნეს ქართულენოვანი ძირითადი ლიტერატურით ან რიდერებით; სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური და არა პოპულარული სახელმძღვანელოებით; სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მიესადაგოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონეს და გასწორდეს ტერმინოლოგია საოფისე პროგრამების სილაბუსებში.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში არსებული მდგომარეობით განხორციელებულია მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად დაკორექტირებული პროგრამის სავალდებულო და სავალდებულო არჩევითი დისციპლინების მოდული, დაკორექტირებულია ცალკეული სასწავლო კურსების (მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები, ბიზნესის საფუძვლები, ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) საკონტაქტო საათები და კრედიტების მოცულობა, შესაბამისად საკონტაქტო საათები გაიზარდა 30-დან 35-მდე, ხოლო კრედიტების მოცულობა გაიზარდა 5-დან 6-მდე. საბოლოო ჯამში

კი ბიზნესის ადმინისტრირების მოდულის კრედიტების რაოდენობა გაიზარდა 40-დან 55 კრედიტამდე; დაიხვეწა ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები და და მისადაგებული იქნა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დონეს; დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდება და გაიმართა მათში გამოყენებული ტერმინოლოგია; მოხდა პროგრამის გამდიდრება თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ცხადია რომ დაწესებულება მოცემულ პროგრამასტან მიმართბეით რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმს და მის შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის 2018 წლის 20 ივნისის (სხდომის ოქმი N25) აკრედიტაციის გადაწყვეტილება; ○ ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ჯანდაცვის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შეფასდა მხოლოდ 4.1 კომპონენტი	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, შეფასდა მხოლოდ 5.2 კომპონენტი	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ირმა მჟავანაძე